

# ფსიქოლოგია

## დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

### I. სფეროს აღწერა

ფსიქოლოგია, ფართო გაგებით, წარმოადგენს მეცნიერებას ფსიქიკის განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებების შესახებ. ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ის განიხილება, როგორც ემპირიული მეცნიერება, რომლის მიზანია ადამიანის/ადამიანთა ჯგუფების, ცხოველების/ცხოველთა ჯგუფების ქცევის მიზეზების, შედეგების შესწავლა და პროგნოზირება; შექმნილი ცოდნის ყველა იმ სფეროში გამოყენება, სადაც ეს ინფორმაცია ღირებულია.

ფსიქოლოგიის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს მოცემული მეცნიერების სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები. მოცემული სპეციალობა აერთიანებს მრავალ ქვე-დარგს დაწყებული ბაზისური ნეირონული მექანიზმების შესწავლით დაკავებული კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიიდან, დამთავრებული ადამიანთაშორისი ურთიერთობების ანალიზზე ორიენტირებული სოციალური ფსიქოლოგიით. შესაბამისად, ფსიქოლოგიური კვლევების შედეგები ფართოდ გამოიყენება განათლებაში, ჯანდაცვის სფეროში, ეკონომიკაში, ბიზნესში, პოლიტიკაში და ა.შ.

ისტორიულად ფსიქოლოგია დაკავშირებულია ფილოსოფიასა და ბიოლოგიასთან და ამ კავშირის აღმოჩენა დღესაც შესაძლებელია ფსიქოლოგიაში გავრცელებულ თეორიულ მიდგომებსა და კვლევის მეთოდებში. გარდა ამისა, ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თეორიული და კვლევითი კავშირი აშკარაა უკვე სხვა საბუნებისმეტყველო, სოციალურ და მათემატიკურ მეცნიერებებთანაც, რაც ამ მეცნიერებებისთვის დამახასიათებელი მეთოდებისა და მონაცემთა ანალიზისადმი მიდგომის გამოყენებაში ვლინდება.

ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს უწევთ ძალიან განსხვავებულ თემებსა და მეთოდებზე მუშაობა, დაწყებული თავის ტვინის უჯრედების ურთიერთდაკავშირების პრინციპებით, დამთავრებული მე-კონცეფციით. ქვე-დარგების ფარგლებში ფსიქოლოგიის პროგრამები შეიძლება განსხვავდებოდნენ ფაკულტეტის ინტერესების, სპეციალიზაციისა და ასევე მათთვის ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე, მაგრამ არსებობს რაღაც საბაზისო ცოდნა, რომელიც სავალდებულოა ამ სპეციალობის ასათვისებლად და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

ფსიქოლოგიის სფეროში საბაზისო ცოდნა მოიცავს:

- ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების ისტორიას
- კვლევის მეთოდებს
- ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს
- ფსიქოლოგიის ძირითად დარგებს (სოციალური, პიროვნების, განვითარების, შრომის, განათლების, კოგნიტურს)

## II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას მნიშვნელოვანია გათვითვალისწინოთ ფსიქოლოგიის ისეთ მეცნიერებებთან დაკავშირების შესაძლებლობა, როგორცაა, მაგალითად, ბიოლოგია, სოციოლოგია, ფსიქიატრია, რაც გულისხმობს ფსიქოლოგიის ფარგლებში არა მხოლოდ მოცემული სფეროს თემების, თეორიების, მეთოდებისა და აღმოჩენების ასიმილაციის შეფასებასა და გამოყენებას, არამედ ინტერდისციპლინური მიდგომის ფარგლებში ახალი დარგების წარმოქმნის შესაძლებლობის დანახვას.

ფსიქოლოგიაში ცოდნის შეძენა თანდათანობითი პროცესია, დაწყებული ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ცოდნიდან, დამთავრებული მისი ქვე-დარგების მიმართულებით გაღრმავებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტებისგან უნდა მოველოდეთ ემპირიული მეთოდოლოგიის ცოდნასა და გამოყენების შესაძლებლობას დამოუკიდებლად განხორციელებული პროექტის დასრულებისა და მისი ანგარიშის წარმოდგენის ჩათვლით.

ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამის პროფილის მიუხედავად, აუცილებელია სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ ფსიქოლოგიაში საბაზისო ცოდნითა და კვლევის, მათ შორის ინტერდისციპლინური, თანამედროვე მიმართულებების შესახებ ინფორმაციით. პრაქტიკული უნარ-ჩვევების თვალსაზრისით, ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს კვლევითი პროექტების (იქნება ეს თეორიული თუ ექსპერიმენტული და/ან ემპირიული) დაგეგმვის, განხორციელებისა და დამუშავება - შეფასების უნარებს. აქედან გამომდინარე, აკადემიური პროგრამების არჩევისა და შემუშავებისას გასათვალისწინებელია როგორც საბაზისო თეორიული ცოდნის მიცემის აუცილებლობა, ასევე კვლევის განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა - დახვეწის შესაძლებლობა.

ფსიქოლოგიის განვითარების ტემპისა და მიმართულების გათვალისწინებით საჭიროა ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლება პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად შეძენა და გაღრმავება.

ფსიქოლოგიაში მისანიჭებელი ხარისხებია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში; ფსიქოლოგიის ბაკალავრი

## III. სწავლის შედეგები

### 1. დარგობრივი კომპეტენციები:

#### 1.1. დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- შეუძლია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგნისა და ამოცანების დახასიათება;
- აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ;

- იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ აღმოჩენებს;
- იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების ისტორია;
- იცნობს ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს<sup>1</sup>;
- შეუძლია კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე<sup>2</sup>;

## 1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება /დარგობრივი უნარები

- შეუძლია თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის დამოუკიდებელი დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით მათი გადაჭრა;
- შეუძლია ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხებთან (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართებაში;
- იცავს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას.

## 2. ზოგადი კომპეტენციები:

### 2.1. ანალიზისა და სინთეზის უნარი

- შეუძლია ლოგიკურად აზროვნება და ფსიქოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი;
- შეუძლია ერთი და იგივე მოვლენის, ფენომენის თუ კონცეფციის სხვადასხვა (თეორიული თუ დარგობრივი) კუთხიდან დანახვა - გაანალიზება, ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და დასმული ამოცანის (პრობლემის) შესაბამისი სინთეზი;
- შეუძლია საკუთარი მოსაზრებების თანმიმდევრული და არგუმენტირებული ჩამოყალიბება.

### 2.2. პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი

- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (ბიბლიოთეკა, ინტერნეტ-რესურსები) დასმული პრობლემის შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება;
- აქვს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოიხატება პრობლემის თუ ამოცანის შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გადმოცემაში;

<sup>1</sup> ბაკალავრმა უნდა იცოდეს კვლევის შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, ექსპერიმენტი, კონტენტ-ანალიზი, ტესტი, კითხვარი, ანკეტა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი.

<sup>2</sup> ბაკალავრმა უნდა იცოდეს აღწერითი სტატისტიკა (მონაცემთა წარმოდგენის მეთოდები, ცენტრალური ტენდენციის საზომები, ვარიაბილურობის საზომები, კორელაცია) და დასკვნითი სტატისტიკის შემდეგი მეთოდები: t-კრიტერიუმი, ხი-კვადრატი, ANOVA, დისპერსიული ანალიზი: უნი და ბივარიაციული.

- შეუძლია თავისი დარგის ფარგლებში წამოჭრილი პრობლემების ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად წარმატებული გადაჭრა.

### **2.3. დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი**

- შეუძლია საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება, პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა.

### **2.4. მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარი**

- შეუძლია გამართული მეტყველება და წერა, საკუთარი და სხვისი აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა როგორც ზეპირი, ასევე წერიითი მეტყველების დროს.
- შეუძლია მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დამახინჯების გარეშე გადმოცემა.
- შეუძლია მონაწილეობის მიღება ფსიქოლოგიურ თემებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში.
- შეუძლია საკუთარი მოსაზრებების, თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევითი გეგმებისა და კვლევის შედეგების თანმიმდევრული და არგუმენტირებული გადმოცემა როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.
- შეუძლია არგუმენტირებული და კრიტიკული ესეს დაწერა აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით.

### **2.5. უცხო ენის ცოდნა - B2 დონე**

#### **2.6. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი**

- იცნობს და გამოცდილი მომხმარებლის დონეზე თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (პერსონალური კომპიუტერი, ინტერნეტის საძიებო სისტემები, ბაზისური კომპიუტერული პროგრამები);
- შეუძლია დამწყები მომხმარებლის დონეზე გამოიყენოს სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამები (კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამები, ექსპერიმენტის განსახორციელებელი პროგრამები);
- შეუძლია მისთვის ნაცნობი საინფორმაციო ტექნოლოგიების ანალოგიური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.

#### **2.7. ჯგუფური, მათ შორის ინტერდისციპლინარულ ჯგუფში, მუშაობის უნარი**

- შეუძლია ჯგუფში მუშაობა;
- აქვს აქტიური მოსმენის უნარი;
- შეუძლია კვლევით პროექტზე ჯგუფის წევრებთან ერთად პროდუქტულად მუშაობა;
- აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმის და მიღების უნარი.

#### **2.8. სწავლის უნარი**

- შეუძლია მიღებული სასწავლო დავალებების დამოუკიდებელი შესრულება, საჭირო ინფორმაციის მოძიება არსებული სასწავლო და სამეცნიერო რესურსების გამოყენებით;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

#### **2.9. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი**

- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა განსაზღვრული პრობლემის ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასაჭრელად;
- პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა.

#### IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

ფსიქოლოგია სწრაფად განვითარებადი და ამის ფონზე, ცვალებადი მეცნიერებაა, რომელიც უამრავ დარგს აერთიანებს და ამავე დროს ინტერდისციპლინური კვლევების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების მოქნილი გამოყენება მაღალი დონის სპეციალისტების მოსამზადებლად შრომის ბაზრისა და მეცნიერების მოთხოვნების შესაბამისად.

ფსიქოლოგიის სწავლების, სწავლისა და შეფასების სტრატეგია ხელს უნდა უწყობდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციის საფეხურებრივ განვითარებასა და განმტკიცებას. არსებობს მასალის მიწოდების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების უამრავი მეთოდი. ეს მეთოდები არაა სტატიკური და მუდმივად იცვლება ტექნოლოგიური და განათლების მეცნიერების განვითარების შესაბამისად, მაგალითად, სულ უფრო ხშირია ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული კვლევებისა და ა.შ. დროს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მედიის გამოყენება.

დღეს ფსიქოლოგიის მიმართულებით სწავლების გავრცელებული მეთოდებია:

- ლექცია და პრეზენტაცია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დახმარებით (აუდიო-ვიზუალური)
- დისკუსია - ჯგუფთან, ან ქვე-ჯგუფებთან
- საშინაო დავალების, ან წერის/კოლოქვიუმის შედეგების საჯარო განხილვა
- ვიდეო/აუდიო მასალის საჯარო განხილვა
- ლაბორატორიული მეცადინეობები
- ზეპირი პრეზენტაცია, სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში)
- პრაქტიკული მუშაობა (ვორკშოპი)
- ინდივიდუალური კონსულტაციები
- კვლევითი პროექტები
- პრაქტიკა
- დისტანციური სწავლება
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

შეფასების მეთოდები ნათლად უნდა იყოს დაკავშირებული სწავლების მიზანთან. შეფასების მეთოდებიდან ფსიქოლოგიის სწავლებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- ფორმალური გამოცდები: წერილობითი, ზეპირი, ღია, დახურული;
- სხვადასხვა სახის ესეები;
- ტესტირება: მრავალ-ალტერნატივიანი ტესტები, ტესტები ღია კითხვებით;
- თეორიული კვლევითი ნაშრომები;
- ზეპირი პრეზენტაციები შეთანხმებული თემის მიხედვით;
- კვლევის და/ან კვლევის ცალკეული ეტაპების ანგარიშები;
- კლინიკური შემთხვევების ანალიზი;
- დისკუსიები განსაზღვრულ თემებზე.

შეფასების ყველა ზემოჩამოთვლილ მეთოდთან მიმართებაში, აუცილებელია შეფასების კრიტერიუმი მკაფიოდ იყოს ფორმულირებული და იძლეოდეს კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას შესაძლებლობას.

ნათელია, რომ ფსიქოლოგიაში აკადემიური ხარისხი აერთიანებს სპეციფიკურ საბაზისო ცოდნას (ზოგადად სპეციალობის ძირითადი დარგების ჩათვლით), დარგობრივ კომპეტენციებსა და ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ემპირიული კვლევის დამოუკიდებელი განხორციელებისა და ანგარიშგებისთვის.

ფსიქოლოგიის სპეციალობით სტუდენტმა აკადემიური ხარისხის მისაღებად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე წარმატებით უნდა განახორციელოს სხვადასხვა თემისა და მეთოდის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები, რაც საბოლოო ჯამში უნდა დასრულდეს დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებით. კვლევა უნდა აერთიანებდეს როგორც ემპირიული მონაცემების შეგროვებას, ასევე მათ სტატისტიკურ დამუშავებასა, ანალიზს და კვლევითი ანგარიშის შედგენას, რომელსაც ხელმძღვანელთან ერთად შეაფასებენ სხვა გარეშე ექსპერტებიც.

---

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა ევრაზიის ფორნდის მიერ დაფინანსებული პროექტის „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ფარგლებში.